სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან
№ 6 (375) ივნისი – ივლისი, 2024 წელი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა „სტუდფესტი 2024“-ის რამდენიმე ნომინაციაში გაიმარჯვეს

დასრულდა ახალგაზრდული ფესტივალი – „სტუდფესტი 2024“, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ორგანიზებით ჩატარდა.

ფესტივალის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, უნივერსიტეტებს შორის გაიმართა სპორტული ტურნირები, კულტურული და შემოქმედებითი ღონისძიებები, ინტერმედია – კონკურსი საუნივერსიტეტო თეატრებს შორის, მოხალისეობრივი აქტივობები და STEM კონკურსი, რომელმაც ახალგაზრდებს საშუალება მისცა მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით სხვადასხვა აქტივობაში მიეღოთ მონაწილეობა; ასევე, საგანმანათლებლო პროექტები, რომელიც მოიცავდა ინტელექტუალურ შეჯიბრს; დებატები; City Game; ესეების კონკურსი თემაზე – საქართველო და ევროპა; STEM მარათონი.

მიმდინარე წელს ფესტივალს 25 000-მდე მონაწილე და 665 გამარჯვებული სტუდენტი ჰყავს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები ახალგაზრდული ფესტივალის – „სტუდფესტი 2024“ – რამდენიმე ნომინაციის გამარჯვებულები გახდნენ.

ფესტივალის შემაჯამებელ ღონისძიებაზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, გიორგი ამილახვარმა, გამარჯვებულ სტუდენტებს მიღწეული წარმატება მიულოცა და სპეციალური პრიზები გადასცა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა რამდენიმე ნომინაციაში გაიმარჯვეს:

I ადგილი: ქართული ცეკვა; თანამედროვე ცეკვა; ბენდების კონკურსი; დუეტები; ინტერმედია-თეატრალური დადგმა; ბადმინტონი (გოგონები); საგანმანათლებლო პროექტი – City Game.

II ადგილი: ჭადრაკი (გოგონები); სოლო სიმღერა; მაგიდის ჩოგბურთი (ვაჟები); ნარდი (გოგონები); ინტელექტუალური თამაში – „რა? სად? როდის?“.

III ადგილი: ჩოგბურთი (ვაჟები); ბადმინტონი (გოგონები); ბოულინგი; მაგიდის ჩოგბურთი (გოგონები); ქართული ლიგა; ჭადრაკი (ვაჟები).

თსსუ-მა ISO ხარისხის მართვის შესაბამისი სერტიფიცირება მეორედ გაიარა

2024 წელს, რესერტიფიცირების მიზნით, აუდიტორებმა შეამოწმეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის შესაბამისობა ISO 9001:2015 სტანდარტის ახალი ვერსიის მოთხოვნებთან და დასკვნის საფუძველზე მიანიჭეს სამწლიანი სერტიფიკატი.

აღნიშნული ადასტურებს, რომ თსსუ-ის საქმიანობა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებს საგანმანათლებლო სივრცეში.

ISO-ს 9001:2015 სერტიფიკატი, როგორც ავტორიტეტული საერთაშორისო სტანდარტი, გულისხმობს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს მსოფლიოში ფართოდ აღიარებული ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მეშვეობით, რომელიც სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო და საქართველოს საკანონმდებლო ნორმებს.

ISO 9001:2015 ხარისხის მართვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტია, რომლის პრინციპებია: ლიდერობა, პერსონალის ჩართულობა, პროცესუალური მიდგომები, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები და ურთიერთობების მართვა.

თსსუ, როგორც განვითარებაზე, ხარისხის მართვის გაუმჯობესებასა და შედეგიანობაზე ორიენტირებული უნივერსიტეტი, კვლავ განაგრძობს საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას და დგას იმ სასწავლო დაწესებულებების გვერდით, რომელთაც მსოფლიოში წამყვანი პოზიციები უჭირავთ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი Times Higher Education-ის 2024 წლის რეიტინგში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი შეფასდა 2024 წლის რანჟირების – Times Higher Education Impact Rankings-ის მიხედვით. თსსუ უკვე მეორედ მონაწილეობს Times Higher Education IMPACT rankings უნივერსიტეტების გლობალური რეიტინგის სისტემაში, რომელიც აფასებს უნივერსიტეტების შედეგებს გაეროს მდგრადი განვითარების 17 მიზნის (SDG) მიღწევის კუთხით.

2024 წლის რანჟირებაში მსოფლიოს 125 ქვეყნის 2152 უნივერსიტეტი იღებდა მონაწილეობას. 2024 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი გაეროს მდგრადი განვითარების 4 მიზანთან მიმართებით შეფასდა (SDG 3 – „ჯანმრთელობა და კეთილდღეობა“, SDG 4 – ხარისხიანი განათლება, SDG 9 – ინდუსტრია, ინოვაციები და ინფრასტრუქტურა და SDG 12 - თანამშრომლობა მიზნების განხორციელებისათვის), საიდანაც საუკეთესო პოზიცია SDG 3 – ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მიმართულებით დაიკავა და 2152 უნივერსიტეტს შორის 401-600 პოზიციაზეა, რაც ადასტურებს უნივერსიტეტის აქტიურ და წარმატებულ მონაწილეობას მესამე მისიის განხორციელებაში.

ჰოსპიტლების გაერთიანების Sud Ile-de France-ის წარმომადგენლების ვიზიტი თსსუ-ში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვივნენ ჰოსპიტლების გაერთიანების Sud Ile-de France (საფრანგეთი) წარმომადგენლები: ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, დოქტორი სილვან დიამანტისი და ექიმი, ამავე გაერთიანების ინფექციონისტი და შინაგანი სნეულებების სპეციალისტი, თსსუ-ის კურსდამთავრებული ეკატერინე ჩაკვეტაძე.

სტუმრებს შეხვდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ირაკლი ნატროშვილი, რექტორის აპარატის უფროსი, ასოცირებული პროფესორი ირინა კაპეტივაძე და თსსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო თანამშრომლობის განყოფილების უფროსი, ასოცირებული პროფესორი თინათინ კილასონია.

სტუმრებმა დიდი დაინტერესება გამოხატეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობის კუთხით, როგორც სასწავლო, ასევე სამეცნიერო მიმართულებით. დაისახა გეგმა, რომელიც უახლოეს მომავალში Sud ile-de France-ის ჰოსპიტლების ქსელში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების და რეზიდენტების სტაჟირებას გულისხმობს.

თსსუ-ის მოწვეული პროფესორის, ოთარ ვადაჭკორიას, საჯარო ლექციები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვია თსსუ-ის მოწვეული პროფესორი, ინსბრუკის (ავსტრია) სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორი, მიუნხენის (გერმანია) ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის დოქტორი, სტომატოლოგიის აკადემიური დოქტორი, მიუნხენის სტომატოლოგიური კლინიკის - ZiP-Zahnarzt in Pasing-ის ხელმძღვანელი ოთარ ვადაჭკორია.

მან თსსუ-ის სტუდენტების, რეზიდენტების, ექიმებისა და აკადემიური პერსონალისთვის ქართულ და ინგლისურ ენებზე წაიკითხა ლექციები თემებზე: ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება თანამედროვე ორთოპედიულ სტომატოლოგიაში; ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით დამზადებული მოუხსნელი ორთოპედიული კონსტრუქციები, კლინიკური შემთხვევების განხილვა.

დაისვა საჯარო ლექციისთვის უჩვეულოდ ბევრი შეკითხვა, რაც დამსწრე საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესზე მეტყველებდა.

„დღეს აუდიტორიას გავაცანი დარგის უახლესი მიღწევები, ამ მიმართულებით, გერმანიაში დანერგილი მკურნალობის მეთოდები. მახარებს, რომ სტუდენტების ინტერესი მაღალი იყო და ლექცია ინტერაქტიულ რეჟიმში ჩატარდა.

ბედნიერი ვარ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოწვეულ პროფესორად ვარ არჩეული და მაქვს პატივი, ყველა დაინტერესებულ პირს ჩემი ხედვა და გამოცდილება გავუზიარო“, – განაცხადა პროფესორმა ოთარ ვადაჭკორიამ.

თსსუ-ის დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენცია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა.

კონფერენცია გახსნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა, რომელმაც აღნიშნა: „დღევანდელ კონფერენციაზე დოქტორანტები წარმოადგენენ, როგორც მიმდინარე, ასევე დასრულებულ კვლევებს. დარწმუნებული ვარ, ნაშრომები იქნება ყველასათვის სასარგებლო. ძალიან სასიამოვნოა, რომ დოქტორანტების სამეცნიერო კონფერენციას სტუდენტებიც ესწრებიან. ეს არის მათთვის საუკეთესო მაგალითი – რა ეტაპები უნდა გაიარონ სწავლების პროცესში და შემდგომი განვითარებისთვის. დიდი მადლობა ყველას, წარმატებებს გისურვებთ“.

კონფერენციას ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი მეცნიერების მიმართულებით, პროფესორი სოფიო ბახტაძე.

თსსუ-ის დოქტორანტებმა კონფერენციაზე წარმოადგინეს როგორც ზეპირი, ისე პოსტერული მოხსენებები.

კონფერენცია – ენდოკრინოლოგია, როგორც ხედვის ხელოვნება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა სტუდენტური კონფერენცია: „ენდოკრინოლოგია, როგორც ხედვის ხელოვნება“.

ღონისძიების თემატიკა მეტად საინტერესო და კრეატიული მიდგომების სინთეზს წარმოადგენდა და მოიაზრებდა ენდოკრინოლოგიური პათოლოგიების აღწერას მხატვრობის მსოფლიო შედევრებში.

კონფერენციას ესწრებოდნენ როგორც სამედიცინო საზოგადოების წარმომადგენლები, ასევე, მხატვრები. ღონისძიება გახსნა თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა. საზოგადოების წინაშე მოხსენებებით წარსდგნენ: ენდოკრინოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მარინე გორდელაძე; დიაბეტის, ენდოკრინული და გულ-ფილტვის დაავადებების ცენტრ „დიაკორის“ დამფუძნებელი, პროფესორი რამაზ ყურაშვილი და თსსუ-ის სტუდენტები.

მომხსენებლებმა საინტერესო მოგზაურობა მოაწყვეს მსოფლიოს მუზეუმებში, ენდოკრინოლოგის თვალით შეაფასეს და დაანახეს დამსწრე საზოგოდოებას ცნობილი მხატვრების ტილოები.

ღონიძიება გაიმართა თსსუ-ის ენდოკრინოლოგიის დეპარტამენტისა და სტუდენტური თვითმართველობის ორგანიზებით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ახალ საერთაშორისო პროექტებშია ჩართული

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტი უკვე მრავალი წელია თანამშრომლობს ბონის უნივერსიტეტის გენომური სტატისტიკის და ბიოინფორმატიკის ინსტიტუტთან, ისეთი საერთაშორისო პროექტების ფარგლებში, როგორებიცაა: Face2Gene და GestaltMatcher. აღნიშნულ პროექტებში ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით ხდება იშვიათი გენეტიკური დაავადებების მქონე პაციენტების სახის ფოტოსურათების და ფენოტიპური მახასიათებლების ანალიზი და მათი დაკავშირება სხვადასხვა სინდრომთან დიაგნოზის დასმის თვალსაზრისით. ორივე პროგრამა უფასოა და ხელმისაწვდომია ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პროფესიონალებისთვის.

ამჟამად მიმდინარეობს ორი ახალი ერთობლივი პროექტი – Deeplasia და Bone2Gene.

პროექტი – Deeplasia მოიცავს ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით ხელის მტევნის რენტგენის სურათის ანალიზს ძვლის ასაკის დასადგენად. აღსანიშნავია, რომ პროგრამა ვალიდურია როგორც ნორმალური, ისე ჩონჩხის დისპლაზიის მქონე პაციენტებისთვის და მაღალი სიზუსტით ადგენს ძვლის ასაკს.

პროექტი – Bone2Gene მოიცავს ხელოვნური ინტელექტის უნიკალური ვიზუალიზაციის პატერნის გამოყენებით ხელის მტევნის რენტგენის სურათის ანალიზს, რათა დაუკავშიროს ის სხვადასხვა სინდრომს და დაეხმაროს კლინიცისტებს დიაგნოსტირებაში. ამჟამად მონაცემთა ბაზა მოიცავს 30 სხვადასხვა სინდრომის მქონე 1000-ზე მეტი ადამიანის ხელის მტევნის რენტგენის, დაახლოებით, 2500 სურათს და ეს რიცხვი მუდმივად იზრდება.

პროფესორ თინათინ ტყემალაძის ინიციატივით, ბონის უნივერსიტეტთან გაზიარდა 800-ზე მეტი ხელის მტევნის რენტგენის სურათი გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკიდან და მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოდან. პარალელურად, ჩატარდა კვლევა, სადაც შვიდმა ქართველმა ექიმმა სათითაოდ შეაფასა 400 ხელის მტევნის რენტგენის სურათი ძვლის ასაკის დასადგენად. ექიმების მონაცემები შედარდა ხელოვნური ინტელექტის მუშაობას. კვლევის შედეგები გამოქვეყნდება ერთობლივი პუბლიკაციის სახით მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში.

სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეგიის ევროპის სექციის 67-ე კონგრესზე

2024 წლის 21-24 ივნისს ლიმასოლში (კვიპროსი) სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეგიის (ICD) ევროპის სექციის 67-ე კონგრესი გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ ქართველი სტომატოლოგები, მათ შორის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის 5 წევრი და 3 მოწვეული მასწავლებელი.

კონგრესზე იმყოფებოდა და ევროპის სექციის რეგენტთა საბჭოს სხდომას დაესწრო თსსუ-ის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მარინა მამალაძე, რომელიც საქართველოს დისტრიქტის რეგენტი და რეგენტთა საბჭოს წევრია.

სხდომაზე განიხილებოდა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: მომავალი კონგრესების სამეცნიერო ფორმატი, სტომატოლოგიური განათლების ხელშეწყობა, ჰუმანიტარული აქტივობები, ახალ წევრთა შერჩევის კრიტერიუმები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრის ფორმატი მოიცავდა პრეზენტაციებს, რომლის ფარგლებშიც თსსუ-ის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს 3 პოსტერული პრეზენტაცია.

გარდა ამისა, კონგრესზე გაიმართა სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეგიის ევროპის სექციის ჟურნალის ICDigest პრეზენტაცია, სადაც საქართველოს დისტრიქტის შესახებ ვრცელი პრეზენტაცია დაიბეჭდა.

ასევე, კონგრესის ფორმატში ICD-ის ევროპის სექციაში ახალი წევრები მიიღეს, მათ შორის, თსსუ-ის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის მოწვეული მასწავლებელი ლიკა მინაშვილი.

არადიაგნოზირებული დაავადებების მე-2 საერთაშორისო ჰაკათონზე

2024 წლის 6-8 ივნისს თსსუ-ის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის პროფესორმა თინათინ ტყემალაძემ, როგორც არადიაგნოზირებული დაავადებების საერთაშორისო ქსელის - Undiagnosed Disease Network International, UDNI – წევრმა, მონაწილეობა მიიღო არადიაგნოზირებული დაავადებების მეორე საერთაშორისო ჰაკათონში (რადბაუდის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი, ნეიმეგენი, ნიდერლანდები).

ჰაკათონი წარმოადგენს უნიკალურ ღონისძიებას, რომელშიც მონაწილეობს კლინიცისტების, ბიოინფორმატიკოსების, მოლეკულური ბიოლოგების, მეცნიერების და დეველოპერების ექსპერტთა მულტიდისციპლინური გუნდი. ჰაკათონის მიზანია ჯგუფებმა განიხილონ ყველაზე რთული შემთხვევები და დასვან დიაგნოზი.

ღონისძიების ფარგლებში, 122-მა სპეციალისტმა 28 ქვეყნიდან, განიხილა და გააანალიზა 42 არადიაგნოზირებული პაციენტის შემთხვევა, რის შედეგად, 10 პაციენტს დაესვა დიაგნოზი. ასევე დადგინდა, რომ დიაგნოზის საბოლოო ვალიდაციისთვის 9 პაციენტი საჭიროებს დამატებით კვლევებს, ხოლო დარჩენილი 23 არადიაგნოზირებული პაციენტის მონაცემების ანალიზი გაგრძელდება მომდევნო 3 თვის განმავლობაში საერთაშორისო ექსპერტთა გუნდის მიერ.

ჰაკათონზე პროფესორმა თინათინ ტყემალაძემ წარადგინა ორი პაციენტის შემთხვევა, რომელთაგან ერთს დაესვა იშვიათი დაავადების დიაგნოზი, ხოლო მეორე პაციენტის სექვენირების მონაცემების ანალიზი გაგრძელდება საბოლოო დიაგნოზის მიღებამდე.

ღონისძიების ფარგლებში, დაიგეგმა ერთობლივი კოლაბორაციული პროექტების განხორციელება, როგორც რადბაუნის უნივერსიტეტის, ისე სხვა ქვეყნების აკადემიური ინსტიტუციების თანამშრომლებთან ერთად,

თსსუ-ის ასოცირებული პროფესორი ადამიანის გენეტიკის ევროპის საზოგადოების განათლების კომიტეტის წევრად აირჩიეს

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ეკა კვარაცხელია ადამიანის გენეტიკის ევროპის საზოგადოების განათლების კომიტეტის წევრად აირჩიეს, რომელიც კოორდინირებას გაუწევს მენტორობის პროგრამას და ახალი საგანმანათლებლო კურსების შემუშავებას.

თსსუ-ის ასოცირებულმა პროფესორმა, ეკა კვარაცხელიამ, მიმდინარე წლის 3 ივნისს მონაწილეობა მიიღო კომიტეტის შეხვედრაში, სადაც განიხილეს კომიტეტის საქმიანობის ანგარიში და დაიგეგმა სამომავლო პერსპექტივები. შეხვედრაზე, ეკა კვარაცხელიას ინიციატივით, გადაწყდა ახალი კურსის – „ფუნდამენტური და კლინიკური ეპიგენეტიკა“ – შემუშავება, რომელსაც მხარს დაუჭერს ადამიანის გენეტიკის ევროპის საზოგადოება და იგი საქართველოში ჩატარდება.

სასამართლო ექიმთა მე-8 საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია

გაიმართა სასამართლო ექიმთა მე-8 სამეცნიერო პრაქტიკული საერთაშორისო კონფერენცია, ორგანიზებული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და საქართველოს სასამართლო ექიმთა ასოციაციის მიერ.

კონფერენციის სტუმრები გახლდნენ წარმომადგენლები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან, საქართველოს გენერალური პროკურატურიდან, სპეციალური საგამოძებო სამსახურიდან.

განიხილეს სასამართლო მედიცინის, სასამართლო სამედიცინო ანთროპოლოგიის, სასამართლო ტოქსიკოლოგიის, სასამართლო ნარკოლოგიისა და სასამართლო ბიოლოგიური და გენეტიკური ექსპერტიზის აქტუალური საკითხები.

ღონისძიებაზე ამერიკელმა ანთროპოლოგმა, კიგან ბინიმ, წარმოადგინა მის მიერ საქართველოში განხორციელებული ანთროპოლოგიური პროექტის დეტალები, სირთულეები და შედეგები.

გილოცავთ!

მოგესალმებით,

დღეს თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი დღეა, რომელიც უნდა იზეიმოთ და რომლითაც უნდა იამაყოთ!

გილოცავთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დამთავრებას!

მეც ისევე დავიწყებ, როგორც მრავალი ჩვენგანი, ბოლო დროს – ახალგაზრდებიც კი, ხაზგასმით აღნიშნავთ – დრო ძალიან სწრაფად გადის!

დრო სწრაფად გადის, მაგრამ თითოეულ ჩვენგანს, ალბათ, არასოდეს დაავიწყდება უნივერსიტეტში პირველი შეხვედრებით გამოწვეული ემოციები, პირველი ლექციები, ლექტორები, ისიც, რამდენი რამ იყო ახალი და დასალაგებელი პირველი კურსიდანვე – ახალი ურთიერთობები, ახალი საგნები, დღის ახალი განრიგი... ახლა კი, როცა გადახედავ გავლილ გზას, თითქოს, ყველაფერი ჩვეულებრივად აეწყო, ყველაფერი ასე უნდა ყოფილიყო აქ, ამ უმაღლეს სასწავლებელში, სადაც თქვენ გაატარეთ სტუდენტობის დაუვიწყარი წლები. თქვენ დღეს წარმოადგენთ არა მარტო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, არამედ თქვენს ოჯახებსა და მეგობრებსაც, რომლებიც მრავალი წელი მხარს გიჭერდნენ ამ გზაზე. ვულოცავ მათ და მადლობას ვუხდი.

უნივერსიტეტში გატარებული წლების მანძილზე თქვენ გვერდით იყვნენ თსსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც თავიანთი გამოცდილებით და ყოველდღიური შრომით აკეთებდნენ ყველაფერს იმისათვის, რომ დღევანდელი დღე დამდგარიყო. მინდა, უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს მადლობა გადავუხადო გაწეული შრომისთვის და მივულოცო დღევანდელი დღე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი თავისი მისიით, არსით, ხედვითა და ფუნქციით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დასაყრდენია ქვეყნისთვის მაღალკვალიფიციური სამედიცინო კადრების მომზადების კუთხით. უნივერსიტეტის ასწლიანი ისტორიის მანძილზე, 60 000-ზე მეტი კურსდამთავრებული ჩადგა ჩვენი ქვეყნის, და არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში. ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები მსოფლიოს წამყვან სამედიცინო ცენტრებში წარმატებით აგრძელებენ მოღვაწეობას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უმნიშვნელოვანესი როლი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში ნათლად წარმოჩინდა კოვიდ-პანდემიის პერიოდში – როდესაც უხილავ მტერთან ბრძოლაში, ფრონტის წინა ხაზზე, სწორედ ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები იბრძოდნენ თავდაუზოგავად, ხშირად საკუთარი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის რისკის ფასად.

ჩვენი საუნივერსიტეტო კლინიკები ლიდერები არიან საქართველოში და მომავალში კვლავაც გააძლიერებენ თავიანთ ლიდერულ პოზიციას, როგორც სამედიცინო მომსახურების, განათლებისა და კვლევის საერთაშორისოდ აღიარებული კერები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომი – ეს არის მნიშვნელოვანი ორიენტირი პიროვნების აკადემიური, პრაქტიკული, პიროვნული და ემოციური ზრდის გზაზე, რომელიც გრძელდება მთელი ცხოვრების მანძილზე. განაგრძეთ სწავლა და მიიღეთ ამით სარგებელი!

ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ თქვენი ძალისხმევა დადებით გავლენას მოახდენს თქვენს კარიერაზე, არა მხოლოდ მიღებული ცოდნის, არამედ მართვის უნარ-ჩვევების მეშვეობით, რომელსაც დაეუფლეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში და განავითარებთ იქ, სადაც გააგრძელებთ მოღვაწეობას.

თქვენ გადალახეთ ბევრი გამოწვევა ამ წლების მანძილზე და თქვენი მიღწევები კიდევ უფრო შთამბეჭდავია, რადგან ისინი წარმოჩინდა მსოფლიო პანდემიის დროს. COVID-19 სტუდენტებისთვისაც ახალი კვლევების და უნარ-ჩვევების მიღების საშუალება გახდა. ეს იყო დიდი გამოცდილება.

ყოველთვის გჯეროდეთ საკუთარი თავის ისე, როგორც ჩვენ გვჯერა, რომ გახდებით კომპეტენტური, თანამგრძნობი და სანდო პროფესიონალები.

იყავით საუკეთესონი თქვენთვის და თქვენი პაციენტებისთვის. საკუთარ თავზე ზრუნვით და განათლებით სხვებს დაეხმარებით. იყავით ლიდერები, რომელთაგანაც მაგალითს იღებენ; იყავით კეთილნი, გულისხმიერნი და მიმღებნი და შეცვალეთ ჩვენი სამყარო.

ჩვენო საამაყო კურსდამთავრებულებო, დარწმუნებული ვარ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა თქვენი დასაყრდენი გახდება მომავალში აკადემიური, პროფესიული, პიროვნული და ემოციური ზრდის გზაზე. განაგრძეთ სწავლა და განვითარება და იზრუნეთ, რომ თქვენი ცოდნა სარგებლის მომტანი იყოს თქვენთვის და ქვეყნისათვის.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ: მოხარული ვარ, მოგილოცოთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის საპატიო წოდება. ღირსეულად ატარეთ ის თქვენი ცხოვრების გზაზე!

გისურვებთ საუკეთესოს თქვენს ცხოვრებასა და კარიერაში!

გილოცავთ!

პროფესორი ირაკლი ნატროშვილი,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის რექტორი

2024 წლის 19 ივლისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიმართა მედიცინის, სტომატოლოგიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის, მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტების და საექთნო საქმის და სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამების სტუდენტთა გამოსაშვები ღონისძიება.

ცერემონიას დაესწრნენ საპატიო სტუმრები საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებიდან: განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი, ბატონი **გიორგი ამილახვარი;** ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, ქალბატონი **თამარ გაბუნია**; განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე, ბატონი **ნოდარ პაპუკაშვილი;** ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, ქალბატონი **თეა გიორგაძე.**

კურსდამთავრებულებს სწავლის დასრულება და ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლა მიულოცეს: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, ბატონმა გიორგი ამილახვარმა; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ქალბატონმა თამარ გაბუნიამ; მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა რუსუდან რუხაძემ; სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ნანა ყიფიანმა; ფარმაციის ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჩიკვილაძემ; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა დავით ზარნაძემ; ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ლელა მასხულიამ და საექთნო საქმის და სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამების კოორდინატორმა მედეა ჯღარკავამ.

თსსუ-ის კურსდამთავრებულთა ცერემონიაზე თითოეული ფაკულტეტის ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე სტუდენტები საპატიო სტუმრებმა: განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, ბატონმა გიორგი ამილახვარმა; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ქალბატონმა თამარ გაბუნიამ; განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ, ბატონმა ნოდარ პაპუკაშვილმა; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა თეა გიორგაძემ და თსსუ-ის ადმინისტრაციამ: რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა; კანცლერმა, ბატონმა ალექსანდრე ბუაჩიძემ; ვიცე-რექტორმა, პროფესორმა სოფიო ბახტაძემ და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანებმა სცენაზე სიმბოლურად მანტიებით შემოსეს.

ტრადიციულად, ღონისძიების დასასრულს, კურსდამთავრებულებმა საზეიმოდ და საპატიოდ დადეს ფიცი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ულოცავს ყველა კურსდამთავრებულს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს წარმატებებს პროფესიული განვითარების გზაზე!

წერილები Alma Mater-ს

ექვსი წლის წინ, როდესაც ჩემი მომავალი პროფესია მედიცინას დავუკავშირე, ვფიქრობდი, რომ ექიმობა ყველაზე ჰუმანური საქმიანობა იყო. დღეს, როცა მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯი მაშორებს ექიმობამდე, კიდევ უფრო ვრწმუნები ამაში.

გადაწყვეტილების მიღებისას ვიაზრებდი, რომ ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა გამომეყენებინა, რადგან ეს არის სფერო, სადაც ერთ შეცდომასაც კი სიცოცხლის ფასი შეიძლება ჰქონდეს. ვფიქრობ, ამ ექვსი წლის განმავლობაში თავი არ დამიზოგავს, რომ სრულყოფილი სამედიცინო განათლება მიმეღო, თუმცა, ცხადია, ეს არ არის საკმარისი და პროფესიული განვითარება მედიცინის სფეროში მუდმივ სწავლას და სიახლეების ძიებას მოითხოვს.

ამ დროის განმავლობაში, რა თქმა უნდა, იყო ძალიან ბევრი გამოწვევა და სირთულე, რომლებთან გამკლავებაც მომიხდა. გადავიტანეთ უმძიმესი პერიოდი კოვიდპანდემიის სახით, თუმცა ამ დროს კიდევ უფრო დავრწმუნდი ჩემს შესაძლებლობებში და იმაში, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საფუძვლიანი სამედიცინო განათლების მიღება. არაფერია იმაზე სასიამოვნო, როცა საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეს ვაკეთებთ. თავს არ დავზოგ იმისთვის, რომ მომავალში ხალხს სრულყოფილი სამედიცინო დახმარება გავუწიო.

ვფიქრობ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მივიღე, ურთიერთობებია, რომელიც არასდროს დაიკარგება. იღბლიანი ვარ, რომ მომიწია ისეთი ადამიანების გაცნობა, როგორებიც ჩემი თანაკურსელები არიან და, რაც მთავარია, - ჩემი მე-6 ჯგუფი, რომელიც მეორე ოჯახად მექცა და ერთადაც გატარებული ყოველი წუთი ძალიან ძვირფასია ჩემთვის. ასევე, მინდა აღვნიშნო პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას მიზიარებდნენ და მუდმივად მხარში მედგნენ. აქვე ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მედიცინის ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ რუსუდან რუხაძეს და დეკანის მოადგილეს, ქალბატონ ქეთევან ებრალიძეს, მუდმივი მხარდაჭერისა და დახმარებისთვის. უნივერსიტეტმა ბევრჯერ გამიწია რეკომენდაცია, მომანიჭა არაერთი სტიპენდია და ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მომცა საშუალება, მიმეღო მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. ყოველივე ამას ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა ჩემზე და, ვფიქრობ, ეს შთაბეჭდილებები მუდმივად გამყვება.

დაბოლოს, ვურჩევდი თითოეულ სტუდენტს, რომ არ დაზოგოს თავი ამ სფეროში და მაქსიმალურად წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები, იშრომოს და შედეგი აუცილებლად დადგება. ცხადია, იქნება ბევრი გამოწვევა, ბევრი წინააღმდეგობაც, თუმცა გამოჯანმრთელებული პაციენტების სახეზე აღბეჭდილი ბედნიერება და სიხარული ყველაფრად ფასობს და ჩვენი უპირველესი მიზანიც სწორედ ეს უნდა იყოს.

არჩილ გერიძე,
მედიცინის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩემი სტუდენტობის პერიოდი დაემთხვა COVID-19-ის პანდემიის პერიოდს, როდესაც ვითარება მოულოდნელად შეიცვალა, დროებით „დაპაუზდა“ ურთიერთობები და სტუდენტური ცხოვრების ხიბლი და მრავალფეროვნება დისტანციურ რეჟიმზე გადასვლამ ჩაანაცვლა; მიუხედავად სირთულეებისა, განვლილი 4 წელი ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდი იყო – ამ დროის განმავლობაში შევისწავლე არა მხოლოდ მედიცინის საფუძვლები, არამედ დავეუფლე იმ უნარ-ჩვევებს, რომელიც ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე გამომადგება; შევიძინე მეგობრები, რომლებთანაც ცხოვრების საუკეთესო წლები გავატარე.

უნივერსიტეტში სწავლის საწყის ეტაპზე ყველაფერი რთულად მეჩვენებოდა: ახალი გარემო, ახალი პედაგოგები, სწავლის განსხვავებული რეჟიმი... მახსოვს, როგორ ვნერვიულობდი ყოველი გამოცდის წინ და როგორი ამაყი ვიყავი საბოლოო შედეგით. სწავლის პროცესს განსაკუთრებით საინტერესოს ხდიდა კურაციული სწავლება კლინიკებში, სადაც უშუალო შეხება გვქონდა პაციენტებთან და ლექტორები მაქსიმალურად ცდილობდნენ მიგვეღო როგორც თეორიული ცოდნა, ისე პრაქტიკული გამოცდილება, რაც ჩვენი პროფესიონალებად ჩამოყალიბებისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. თითოეული ლექტორის დამსახურება განუზომელია ჩვენი პროფესიული თუ პიროვნული განვითარების თვალსაზრისით.

ყველა პირველსემესტრელს და, ზოგადად, სტუდენტებს მინდა ვურჩიო, იყვნენ მიზანდასახულები, ცოდნის შეძენაზე ორიენტირებულები, არ დაკარგონ საკუთარი თავის რწმენა და ნუ შეაშინებთ სირთულეები, რადგან შეუძლებელი არაფერია.

ნონა ზაბახიძე,
ფიზიკური მედიცინის და
რეაბილიტაციის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ჩემთვის არა მხოლოდ უმაღლესი სასწავლებელი, არამედ ტრადიციების, ღირებულებების, უკეთესი მომავლისკენ სწრაფვის სიმბოლოა; გარემო, სადაც სტუდენტობის საინტერესო წლები გავატარე, შევიძინე მეგობრები, მნიშვნელოვანი კონტაქტები კი დამეხმარა პიროვნულ განვითარებასა და დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბებაში, დროის მიზანმიმართულად გამოყენებაში, პროფესიული წინსვლისთვის ბაზისის შექმნაში და, ზოგადად, სამომავლო მიზნებისა და ინტერესების განჭვრეტაში. ფაქტობრივად, უნივერსიტეტი ჩემი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახლდათ; თუმცა, ერთია დადიოდე უნივერსიტეტში და მეორე – გონივრულად იყენებდე იქ გატარებულ დროს. პირველი სემესტრიდანვე მქონდა შესაძლებლობა აქტიურად ჩავრთულიყავი როგორც საუნივერსიტეტო, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. ნებისმიერი სიახლის საწყისიც ხომ საზოგადოებასთან ინტეგრაციასა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლას მოიცავს. ეს ერთგვარი მოტივაცია გახლდათ კიდევ უფრო მეტის გასაკეთებლად. ჩემთვის სტიმულის მომცემი იყო, რომ უნივერსიტეტისგან ვიღებდი სემესტრულ სტიპენდიას; მნიშვნელოვანია ისიც, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში, თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდი, მაღალრეიტინგული სტუდენტების სემესტრულ დაფინანსებას უზრუნველყოფს. თუმცა ფინანსურ მოტივაციაზე ძლიერი მოტივაცია ჩემთვის უნივერსიტეტის ლექტორების დამოკიდებულება გახლდათ; განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ლექტორის მიერ რამდენჯერმე ნათქვამი: „ჩემო პატარა ასისტენტო!...“ ასეთმა შეფასებამ საკუთარი თავის რწმენა გამიძლიერა და დამარწმუნა, რომ შემიძლია მომავალში რაიმე ღირებული გავაკეთო პროფესიული განვითარების კუთხით.

სასიამოვნოდ მახსენდება უნივერსიტეტის ეგიდით სპორტულ და შემეცნებით პროექტებში ჩართულობა, შესაბამისად, სასწავლო პროცესიც მეტად ხალისიანი და საინტერესო იყო. თითოეული წინ გადადგმული ნაბიჯი დამოუკიდებელ და კონკურენტუნარიან პიროვნებად მაგრძნობინებდა თავს. იყო წარმატებული სტუდენტი, ჩემთვის დიდ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული; მადლობელი ვარ უნივერსიტეტის, რომ მომცა შესაძლებლობა, სწორედ აქ მიღებული ცოდნის დახმარებით დამესახა მიზნები, კიდევ უფრო დავინტერესებულიყავი არჩეული პროფესიით და დავრწმუნებულიყავი, რომ შრომით და მონდომებით ყველაფრის მიღწევა შეიძლება; ვიმედოვნებ, მომავალშიც შევინარჩუნებ უწყვეტ კავშირს უნივერსიტეტთან და სტუდენტებისთვის სასარგებლო ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა მომეცემა...

თამარ გიგოლაშვილი,
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

ტრადიციებით მომავლისკენ – შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ეს ფრაზა აღწერს ჩემს გზას უნივერსიტეტში ჩარიცხვიდან დღემდე.

მე გახლავართ ელისაბედ მეტრეველი, სტომატოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული. ჩემთვის ეს პროფესია არასდროს ყოფილა უცხო, პირიქით, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სტომატოლოგია ჩემი ოჯახის ნაწილი და ფუნდამენტია. არც ის გზაა ჩემთვის უჩვეულო, რომელსაც სტუდენტი სწავლისას გადის, რადგან კარგად მახსოვს ჩემი დის სტუდენტობის წლები. რთულია არ მოექცე იმ ადამიანების გავლენის ქვეშ, რომლებსაც საკუთარი პროფესია ასე ძალიან უყვართ. ჯერ კიდევ დიდი ბებიის ჩანაწერებიდან შემიძლია ვთქვა, თუ რამდენად ყოვლისმომცველი პროფესია გვაქვს. ტრადიცია გავაგრძელე და 2024 წლიდან, მეც გავხდი ჩემს ოჯახში მეოთხე თაობის სტომატოლოგი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. არც ამ უნივერსიტეტში ჩაბარება იყო ჩემთვის შემთხვევითი, როდესაც საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ მშობლების გზას გავყოლოდი და, უალტერნატივოდ, პირველი არჩევანი თსსუ-ზე შევაჩერე, სადაც ჩემი და და ჩემი მშობლები ასწავლიან. თსსუ-ს ყოველთვის აღვიქვამდი, როგორც წინაპრების და, ასევე, ჩემი მშობლების Alma Mater-ს და შეხვედრის ადგილს. ამ ხუთ წელიწადში ჩემი მომავალი პროფესია ბევრჯერ შევაფასე. თსსუ-ში ახლოს გავიცანი ის ხალხი, რომელთა სახელებიც მუდმივად მესმოდა, ვგულისხმობ სტომატოლოგიის ფაკულტეტის ყველა წარმომადგენელს.

სიამოვნებით გამახსენდება ეს ხუთი წელი, მიუხედავად, ბევრი ცვლილებისა თუ „პანდემიური სემესტრებისა“. ის მოლოდინი, რომელიც ბავშვობიდან მქონდა, გამართლდა. დღეს საქართველოს ახალგაზრდა სტომატოლოგთა ლიგის გენერალური მდივანი და დამფუძნებელთა საბჭოს წევრი ვარ. არ იქნება გასაკვირი, რომ ამ ასოციაციის წევრთა დიდ ნაწილს, თსსუ-ის-კურსდამთავრებული სტომატოლოგები წარმოადგენდნენ. ჩვენ გვინდა, რომ თანამედროვე სტომატოლოგიაში ჩვენი სიტყვა ვთქვათ იმ ცოდნითა და გამოცდილებით, რაც თსსუ-ში შევიძინეთ.

სამეცნიერო თუ სოციალურ აქტივობასთან ერთად, პრაქტიკული მოღვაწეობის გაგრძელებას ორთოპედულ სტომატოლოგიასა და იმპლანტოლოგიაში ვაპირებ, დარგში, რომელიც მამამ შემაყვარა. ჩემთვის სწორედ ეს არის სტომატოლოგიის ყველაზე სწრაფად განვითარებადი დარგი, სადაც პაციენტისთვის და შენთვის სასურველ შედეგს, მოკლე დროში იღებ. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ურთიერთობა ამ ზაფხულის შემდეგ არ დასრულდება და ჩემი ოჯახის ნევრების მსგავსად, 10, 20 ან, თუნდაც, 30 წლის შემდეგ, მეც ვიქნები თსსუ-ის წევრი – წარმომადგენელი იმ დიდი ოჯახისა, რომელსაც ჩემთვის ძალიან საყვარელი სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, ადმინისტრაცია და მუდმივად მოტივირებული აკადემიური პერსონალი ქმნის.

ელისაბედ მეტრეველი,
სტომატოლოგიის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

ჯერ კიდევ აბიტურიენტობის პერიოდიდანვე ვიცოდი, რომ მომავალ პროფესიულ საქმიანობას ფარმაციას დავუკავშირებდი. აღსანიშნავია, რომ ფარმაცევტულ განათლებას საქართველოში გასული საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი, ჩემთვის საინტერესოა, რომ დარგი მჭიდრო კავშირშია საბუნებისმეტყველო, სამედიცინო, ტექნოლოგიურ დისციპლინებთან.

მომავალი პროფესიის დაუფლებისა და საბაზისო განათლების მიღებისთვის საუკეთესო უმაღლეს სასწავლებლად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მივიჩნიე მისი მრავალწლიანი ისტორიის, საუკეთესო ტრადიციების და დღევანდელობის გათვალისწინებით, რადგან მიმაჩნია, რომ აქ მიღებული ცოდნა დამეხმარება მომავალში კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოვყალიბდე.

სწავლის დაწყების პირველი დღიდანვე მივხვდი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე: აქ დამხვდა მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, სრულად აღჭურვილი ლაბორატორიები... ყოველი მეცადინეობა მრავალმხრივ საინტერესო და დასამახსოვრებელი იყო თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნის დაუფლების და სიახლეების გაცნობის თვალსაზრისით. პედაგოგები ყოველთვის გვაძლევდნენ ამომწურავ პასუხს ნებისმიერ შეკითხვაზე და კიდევ უფრო მეტად შეგვაყვარეს არჩეული პროფესია. სწორედ მათი დამსახურებაა პრაქტიკული თუ სამეცნიერო უნარ-ჩვევების ათვისება, რაც, განსაკუთრებით, სამეცნიერო ნაშრომებზე მუშაობისას გამოგვადგა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულმა გასართობმა, შემეცნებითმა, სამეცნიერო თუ საქველმოქმედო ღონისძიებებმა გაამრავალფეროვნა სტუდენტური ცხოვრება და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა როგორც ფარმაციის, ისე სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებთან ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

პროფესიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო საქართველოს ფარმაცევტ სტუდენტთა ასოციაციის ღონისძიებებში მონაწილეობაც, რამაც დაგვაახლოვა მომავალ კოლეგებთან, ქართველ და უცხოელ ფარმაცევტებთან.

განვლილი ოთხი წელი სავსეა უძვირფასესი მოგონებებით, თანაკურსელებთან გატარებული ღამაზი დღეების სიმრავლით და საძირკველია მომავალი წარმატებული პროფესიული საქმიანობისა.

ნიკოლოზ ვარსემაშვილი,
ფარმაციის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

ყოველთვის მქონდა სურვილი, ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში ვყოფილიყავი. დღეს კი შემიძლია ვთქვა, რომ მიზანს მივაღწიე და გავხდი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული. ვარ იმ პროფესიის ადამიანი, რომლის დახმარებითაც ქვეყანას ახალი სიცოცხლე მოევლინება. ყოველი ახალი სიცოცხლის დაბადება ენერგიით მავსებს. უნივერსიტეტში გატარებულმა წლებმა მომცა შესაბამისი განათლება საყვარელი საქმის ღირსეულად დასაუფლებლად.

ჩვენი პროფესია ძალიან საჭირო და საპასუხისმგებლოა; ახალშობილის ჯანმრთელობა ხომ იმაზეა დამოკიდებული თუ როგორ წარიმართება ორსულობის პროცესი და მშობიარობა, სადაც ყოველი დეტალი საყურადღებო და მნიშვნელოვანია, ყოველი წუთი კი – სიცოცხლისთვის გადამწყვეტი.

აღსანიშნავია, რომ საორიენტაციო კურსის ფარგლებში, ვესწრებოდი რამდენიმე მშობიარობის პროცესს და დღითიდღე ვრწმუნდებოდი არჩევანის სისწორეში. მომავალ მეანებს წარმატებებს ვუსურვებ და ვეტყვი, რომ ჩვენს უნივერსიტეტში ნამდვილად მაღალკვალიფიციურად ასწავლიან და აყვარებენ ამ პროფესიას.

მინდა მადლობა გადავუხადო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს და ადმინისტრაციას იმ გარემოს შექმნისთვის, რომელიც საშუალებას იძლევა ახალგაზრდების კვალიფიციურ და კონკურენტუნარიან სპეციალისტებად ჩამოსაყალიბებლად.

ამაყი ვარ, რადგან შემიძლია განვაცხადო, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ჩემი უნივერსიტეტია.

თეონა დოლიძე,
სამეანო საქმის საბაკალავრო
პროგრამის კურსდამთავრებული

წერილები Alma Mater-ს

სულ ცოტა ხანში ჩვენთვის ცხოვრების ახალი ეტაპი დაიწყება, რომელშიც უკვე, როგორც ექიმები, ისე შევაბიჯებთ. უცნაურია, მაგრამ ნამდვილად შემიძლია იმის თქმა, რომ უნივერსიტეტში გატარებულმა წლებმა თითქმის ერთი ამოსუნთქვით განვლო და უამრავი საუკეთესო მოგონება დამიტოვა.

გუშინდელი დღესავით მახსოვს, რა მოუთმენლად ველოდი სწავლის დაწყებას. განსაკუთრებულად პირველი დღე მახსენდება, როცა ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით ჩარიცხული ათი საუკეთესო სტუდენტი უნივერსიტეტში დაგვაჯილდოვეს; ძალიან ემოციურად აღვიქვით ეს ფაქტი, სწავლის დაწყება ჩვენი მიღწევების აღნიშვნით რომ დაიწყო.

ზოგადად, მეხსიერებაში ყველაზე მკვეთრად ის პირველი ლექტორები თუ ლექციები რჩება, რომლებმაც ცხოვრების ახალ ეტაპზე შესასვლელად მოგვამზადეს, გვაზიარეს მედიცინის საფუძვლებს და გაგვათავისებინეს ჩვენი, როგორც მომავალი ექიმების, მიზნები.

ყველასთვის საკმაოდ მძიმედ გასახსენებელი COVID-19-ის პანდემია ჩვენი სწავლის პერიოდს დაემთხვა, რაც განსაკუთრებულად რთული აღმოჩნდა სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებისთვის. თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ ამ პერიოდს თავი წარმატებით გავართვი, როგორც სტუდენტმა და როგორც სამედიცინო პერსონალმა, რაშიც დიდი წვლილი ჩვენს უნივერსიტეტს მიუძღვის.

სტუდენტური წლებისგან განსაკუთრებული მოგონებები მაქვს სპორტული აქტივობების მხრივაც – წარმატებულად ვმონაწილეობდი თითქმის ყველა სახეობის სპორტულ ტურნირში; გვქონდა არაერთი დასამახსოვრებელი ექსკურსია – საუკეთესო საშუალება კურსელების გაცნობის, დაახლოებისა და დამეგობრებისთვის.

უნდა ვთქვა, რომ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტობა მარტივი როდია – როცა კარგად გაქვს გააზრებული მიზანი, თავს სწავლასა და შემეცნებას უძღვნი და ცდილობ, რაც შეიძლება მეტი ცოდნა შეიძინო; ძირითადად ხომ ექიმის ცოდნა-გამოცდილებაზეა დამოკიდებული ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე.

მინდა მომავალ სტუდენტებს ვურჩიო – ჭეშმარიტად გაიაზრონ ამ პროფესიის მიზანი, არსი და საკუთარი ვალდებულებანი თუ მოვალეობები, რის გარეშეც ნამდვილად რთულია, ისწავლო მედიცინა და იქცე კარგ ექიმად.

როგორც მომავალი ექიმი, ჩემი ცოდნით მსურს გამოვადგე ჩემს ხალხსა და ქვეყანას, თუმცა, მინდა, დავძინო, რომ ექიმისთვის არ აქვს მნიშვნელობა პაციენტის ეროვნებას, რასას თუ სარწმუნოებას, აქ არ არსებობს საზღვრები; ასე რომ, ჩემი, როგორც მომავალი ექიმის, მიზანია, ჩემი პროფესიით დავეხმარო და სარგებლობა მოვუტანო აბსოლუტურად ყველას, ვისაც ამის საჭიროება შეექმნება.

დავით ფარცახაშვილი,
მედიცინის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

მომავალი პროფესიის შერჩევა ყველაზე საპასუხისმგებლო და, ამავდროულად, ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა. ჯერ კიდევ ბავშვობიდან ჩემი საოცნებო პროფესია სამედიცინო სფეროს უკავშირდებოდა, ამიტომ აბიტურიენტობისას ბევრი ფიქრი არ დამჭირვებია, რადგან იმთავითვე დიდი სურვილი მქონდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი გავმხდარიყავი. არჩევანი მოწინავე, ტრადიციებით სახელგანთქმულ, პრესტიჟულ უნივერსიტეტზე შევაჩერე, რომელიც განვითარების მნიშვნელოვან შესაძლებლობას მომცემდა. ბევრი შრომის შედეგად დასახულ მიზანს მივაღწიე და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე ჩავაბარე, სადაც სწავლის გაგრძელება ჯერ კიდევ მე-9 კლასიდან მქონდა გადაწყვეტილი. შეუძლებელია დავივიწყო ის დღე, პირველად რომ შევაბიჯე უნივერსიტეტში; სწორედ მაშინ გავიაზრე, რომ ცხოვრების სრულიად ახალი ეტაპი იწყებოდა, რომელიც თავდაპირველად საკმაოდ რთული მომეჩვენა.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში წარჩინებული მოსწავლე ვიყავი, უნივერსიტეტში სწავლამ სულ სხვა პასუხისმგებლობა დამაკისრა. სწავლაში გათენებული არა ერთი ღამე მახსოვს, თუმცა გამოცდიდან საუკეთესო შედეგით გამოსვლა ყოველთვის ღირდა ამად.

სწავლის დიდ მოტივაციას საუკეთესო ლექტორები მაძლევდნენ. ბევრი შრომა, თეთრად გათენებული ღამე და ნერვიულობა ნამდვილად ღირდა იმ სასიამოვნო განცდად, რომელიც მაშინ ვიგრძენი, პირველად სტიპენდიატი რომ გავხდი. სწორედ მაშინ დავრწმუნდი, რომ შრომა ნამდვილად ფასდება.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლა ცხოვრებისეული გამოცდილების შეძენაშიც დამეხმარა. სწორედ აქ შევიძინე არაერთი მეგობარი და ჩემი ცხოვრების საუკეთესო მოგონებებიც თსსუ-ში სტუდენტობის პერიოდს უკავშირდება. უნივერსიტეტმა მომცა შესაძლებლობა, რომ ცოდნა მიმეღო საუკეთესო პროფესორ-მასწავლებლებისგან, რომლებიც ყოველთვის მზად იყვნენ დახმარებისთვის, საკუთარი ცოდნის და გამოცდილების გაზიარებისთვის.

დღითიდღე ვრწმუნდები, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩაბარება ჩემი საუკეთესო გადაწყვეტილება იყო, ხოლო ამ კედლებში გატარებული 4 წელი ნამდვილად დაუვიწყარ მოგონებებთან ასოცირდება. განსაკუთრებული სიყვარული მინდა გამოვხატო ჩემი ფაკულტეტის მიმართ, სადაც სწავლის საჭიროებასა და მნიშვნელობას ყოველდღე უფრო მეტად ვიაზრებ.

აბიტურიენტებს, რომლებიც სწავლის გაგრძელებას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გადაწყვეტთ, მინდა გითხრათ, რომ წინ გელით ბედნიერების და სიხარულის განცდა, რაც ამ უნივერსიტეტის სტუდენტობასთანაა დაკავშირებული. ნუ შეგეშინდებათ სირთულეების და გახსოვდეთ, რომ შეუძლებელი არაფერია, მიზანდასახულობითა და შრომისმოყვარეობით სასურველი შედეგი ნამდვილად მიიღწევა. მე კი უსაზღვრო სიამაყით ვივსები, რადგან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მქვია!

თინათინ ალოიანი,
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ფაკულტეტის კურსდამთავრებული

ჯერ კიდევ სკოლის პერიოდიდან, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ემოციებს იწვევდა ჩემში, შესაბამისად, აბიტურიენტობის დროს გადაწყვეტილების მიღება სწავლის გაგრძელების შესახებ არ გამჭირვებია და 2020 წელს გავხდი ამ პრესტიჟული, ტრადიციებით მდიდარი უნივერსიტეტის სტუდენტი. კლინიცისტობა ჩემი ოცნება არასდროს ყოფილა, ამიტომ ავირჩიე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი. რატომ საზოგადოებრივი ჯანდაცვა? ეს სფერო პირდაპირ ეხება და მოიცავს არა ცალკეული ადამიანის, არამედ ადამიანთა მთელი პოპულაციის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის აუცილებელი რიგი ღონისძიებების გატარების და ამ კუთხით არაერთი პრობლემის გადაჭრის აუცილებლობას. მჯეროდა, რომ აღნიშნულ სფეროში მიღებული განათლება მომცემდა შესაძლებლობას, მცირედი წვლილი მაინც შემეტანა საზოგადოების ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და განმტკიცებაში.

უნივერსიტეტში გატარებული 4 წელი შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ პირველ წელს სწავლა, კოვიდპანდემიის გამო, ონლაინრეჟიმში წარიმართა. შემდეგ უკვე აქტიურად დავიწყე სტუდენტური ცხოვრება: ვიღებდი მონაწილეობას კონფერენციებში, რამაც საკუთარი თავის რეალიზებისა და აუდიტორიის წინაშე გამოსვლის საკმაოდ დიდი გამოცდილება მომცა; ჩავერთე სხვადასხვა საქველმოქმედო აქციაში, ღია კარის დღეზე აბიტურიენტებს ვუზიარებდი საკუთარ განცდებსა და გამოცდილებას...

მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ჩვენს დეკანს, ქალბატონ მარინა ციმაკურიძეს, დეკანის მოადგილეს, ბატონ ივანე კუგოტს და პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც მუდამ გვერდით მედგნენ და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის შესაძლებლობას მაძლევდნენ. შეუძლებელია, არ აღვნიშნო სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ, სადაც სტუდენტობის საწყისი ეტაპიდანვე შევდგი ფეხი და გავხდი ამ დიდი ოჯახის წევრი. სწორედ თვითმმართველობის დამსახურებაა, რომ შევიძინე უამრავი მეგობარი, ჩავერთე საზოგადოებრივ საქმიანობაში, ვისწავლე გუნდური მუშაობა და ა.შ.

სტუდენტობის წლები სავსე იყო გამოწვევებით, თუმცა სწორედ სირთულეების დაძლევა მაძლევდა განვითარების საშუალებას. ახლა, უკვე როგორც კურსდამთავრებული, მზად ვარ ახალი ეტაპისთვის და მჯერა, რომ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა და გამოცდილება პროფესიულ განვითარებაში დამეხმარება.

თინათინ მამუკელაშვილი,
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ფაკულტეტის კურსდამთავრებული

პროფესიის არჩევა საკმაოდ საპასუხისმგებლო საკითხია. ორმაგად საპასუხისმგებლოა, ცხოვრება დაუკავშირო სამედიცინო სფეროს, სადაც საქმე ადამიანის ჯანმრთელობას და კეთილდღეობას ეხება. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გავაცნობიერე, რომ ადამიანების დახმარება, მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა არის ის, რაც ბედნიერებას მანიჭებს და გადავწყვიტე, ცხოვრება სტომატოლოგიისთვის მიმეძღვნა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი კი ჩემი ახალი ოჯახი გახდა, ადგილი, სადაც უამრავი წარმატებული ექიმი აღიზარდა.

ახლაც მახსოვს, როგორი ბედნიერი და, ამავდროულად, აღელვებული ვიყავი პირველ დღეს, ვიცოდი რა, რომ მიზნამდე მისასვლელი გზა საკმაოდ რთული, შრომატევადი და საპასუხისმგებლო იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ვგრძნობდი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე, რომელიც არასდროს მინანია. ეს კი ჩემი პედაგოგების დამსახურებაა, რომლებმაც დიდი წვლილი შეეტანეს ჩემს, როგორც პიროვნულ, ასევე პროფესიულ განვითარებაში. თეორიულ ცოდნასთან ერთად, ავითვისე მნიშვნელოვანი პრაქტიკული უნარები, რაც მომავალი ექიმისთვის წარმატების გარანტიაა.

უნივერსიტეტში ბევრი მეგობარი შევიძინე, რომლებთანაც საუკეთესო მოგონებები, საერთო ინტერესები და სურვილები მაკავშირებს. აღსანიშნავია ისიც, რომ თანატოლებთან ერთად, ჩვენ საუკეთესო უფროსი მეგობარიც შევიძინეთ, სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ნანა ყიფიანის სახით. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მას დაუღალავი შრომის, გულშემატკივრობისა და მუდამ სტუდენტების სამსახურში დგომისთვის. წარმოუდგენლად დიდი ნიჭია, ისე შეგეძლოს ადამიანის სიყვარული, როგორც ქალბატონ ნანას შეუძლია. ნამდვილად დასაფასებელია მისი თბილი, გულწრფელი ღიმილი და პროფესიონალიზმი.

მადლობას ვუხდი ასოცირებულ პროფესორ ნინო აბაშიძეს, პროფესორ მანანა ივერიელს, მათ მოგვცეს შესაძლებლობა, განათლება მიგვეღო უახლესი კლასიფიკაციებისა და თანამედროვე გაიდლაინების შესაბამისად, რაც კონკურენტუნარიან ექიმებად ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია.

მადლიერი ვარ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორის, ქალბატონ მარინა მამალაძისა, რომელმაც მოგვცა საშუალება, ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში თავი ნამდვილ ექიმებად გვეგრძნო, გამოგვევლინა პაციენტების დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის საჭირო უნარები.

მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ პროფესორ-მასწავლებელს, რომლებმაც ჩვენთვის დაუღალავი შრომა გასწიეს, გვაძლევდნენ მოტივაციას, გვიზიარებდნენ ცოდნას და გამოცდილებას; სწორედ მათი დამსახურებაა, რომ თსსუ-ის სტომატოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული არის ღრმა თეორიულ-პრაქტიკული უნარების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რაც შემდგომი წარმატებული საექიმო საქმიანობის საწინდარია.

თამარ გელქანია,
სტომატოლოგიის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული



ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფერო, რომელიც მეცნიერებასაც და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვასაც მოიცავს.

სკოლაში სწავლის პერიოდიდანვე მინდოდა ჩემი ცხოვრება მედიცინასთან დამეკავშირებინა, თუმცა, ვფიქრობდი, რომ ეს მარტივი არ იქნებოდა. აფხაზეთიდან ვარ და დიდ სტრესთან და შიშთან იყო დაკავშირებული განვლილი ცხოვრება, ხოლო რთული – ადაპტაციის პერიოდი, თბილისში სასწავლებლად გადმოსვლა... მინდოდა საჭირო და ცხოვრებაში გამოსადეგ პროფესიას დავუფლებოდი, რომელიც, ამავე დროს, ჩემთვის საინტერესო იქნებოდა. მშობლებმა მირჩიეს, გულის კარნახით ამერჩია პროფესია და სასურველი უმაღლესი სასწავლებელი. მეც ყოველგვარი ყოყმანის გარეშე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლა ვარჩიე. ახლა რომ ვიხსენებ, ეს იყო ყველაზე ბედნიერი წუთები ჩემს ცხოვრებაში, ბედნიერი იმის გაცნობიერებითაც, რომ სრულიად დამოუკიდებელ ცხოვრებას ვიწყებდი სახლიდან ძალიან შორს. მშობლების თანადგომა ასეთ დროს აუცილებელი და მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის.

რთული გზის გავლა მომიხდა დღემდე რომ მოვსულიყავი, ენის ბარიერის გამო ძალიან მიჭირდა სწავლა, თუმცა დავრწმუნდი, რომ შრომით და სიყვარულით ყველაფრის მიღწევა შეიძლება, მთავარია, საკუთარი თავის გჯეროდეს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გატარებულმა წლებმა სწრაფად გაირბინა... აქ სწავლა ნიშნავს არა მხოლოდ რთული დისციპლინების შესწავლაში გატარებულ უძილო ღამეებს, არამედ სხვადასხვა აქტივობაში ჩართვასაც – ფესტივალებში, სამეცნიერო კონფერენციებში, საერთაშორისო სტაჟირებებში, სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობას... მოკლედ, ყველაფერს, რაც ლამაზად გვემახსოვრება მრავალი წლის შემდეგაც. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ დღითიდღე ვრწმუნდებოდი პროფესიული არჩევანის სისწორეში.

მინდა აღვნიშნო ისიც, რომ აქ ვიპოვე ჩემი მეორე ნახევარი, რომელიც სწავლის პროცესში მუდამ გვერდით მედგა, მისმა ოჯახმა კი საკუთარი შვილივით მიმიღო და დღეს ამაყობენ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ვარ. ველოდებით პატარას, ამასთან, ვემზადები შემაჯამებელი გამოცდისთვისაც. ამაზე დიდი ბედნიერება და მოტივაციის მომცემი რა შეიძლება იყოს?! ჩემი ცხოვრების უბედნიერესი წლები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთანაა დაკავშირებული.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს პროფესორ-მასწავლებლებს დიდი ძალისხმევისთვის, პროფესიონალიზმისთვის, თანადგომისთვის...

მალე დავიწყებ რთულ, თუმცა საინტერესო პროფესიულ ცხოვრებას, რომელიც იმედი მაქვს, წარმატებული იქნება.

ახალგაზრდებს კი, რომლებიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლას გეგმავენ, ვეტყოდი, რომ მართლაც საამაყოა თსსუ-ის კურსდამთავრებული გერქვას, რაც ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტის შესანიშნავი ტრადიციების გაგრძელებასაც გულისხმობს.

მომავალში ვაპირებ მაგისტრის ხარისხით გავაგრძელო პროფესიული საქმიანობა; ეჭვგარეშეა, რომ ჩემი არჩევანი კვლავ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი იქნება.

მონიკა ფარულუა,
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ფაკულტეტის კურსდამთავრებული

ღია კარის დღე
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

8 ივნისი გამორჩეული დღე გახლდათ აბიტურიენტებისთვის, რომლებიც ღია კარის დღეზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შეიკრიბნენ. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ სხვადასხვა ფაკულტეტის ქართულ თუ უცხოურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს გაცნობოდნენ; ახალგაზრდები, ასევე, დაინტერესდნენ თსსუ-ის კლინიკების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ფაკულტეტებსა და საუნივერსიტეტო ცენტრებთან ერთად მოწყობილი პრაქტიკული და ინტერაქტიული აქტივობებით.

აბიტურიენტებს მიმართა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ირაკლი ნატროშვილმა**, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა მათ ინტერესს, რაც შეიძლება მეტი იცოდნენ იმ საგანმანათლებლო კერის შესახებ, რომლის სტუდენტობაც აქვთ მიზნად დასახული. აბიტურიენტების შეკითხვებს უპასუხეს: თსსუ-ის რექტორმა, სხვადასხვა პროგრამის ხელმძღვანელებმა და ფაკულტეტების დეკანებმა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ღია კარის დღეზე მოსულმა სტუმრებმა არაერთი საჭირო ინფორმაცია მიიღეს და შთაბეჭდილებებით სავსენი დაბრუნდნენ შინ. ჩვენ გავესაუბრეთ რამდენიმე მათგანს, რომლებმაც, მათთვის მნიშვნელოვან დღეს, სიამოვნებით გაგვიზიარეს შთაბეჭდილებები:

„ექიმობა ჩემი დიდი ხნის ოცნებაა. თსსუ-ში მიღებული ცოდნა კი, ვფიქრობ, საუკეთესო საფუძველი იქნება ოცნების ასრულებისთვის. ღია კარის დღის დღევანდელმა ღონისძიებამ კიდევ უფრო დამარწმუნა არჩევანის სისწორეში“ (ანანო, 17 წლის).

„ჩემი პროფესიული არჩევანი ადამიანების დახმარების, მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვის დიდმა სურვილმა განაპირობა, ხოლო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლა – ამ უმაღლესი სასწავლებლის პრესტიჟულობამ და მდიდარმა ტრადიციებმა. კარგად ვიცი, რომ აქ საუკეთესო პროფესორ-მასწავლებლები იღვწიან მომავალი თაობების აღზრდისთვის. დიდი სურვილი მაქვს, მათი დახმარებით, მომავალში მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოვყალიბდე“ (ნინო, 18 წლის).

„მალე ეროვნულ გამოცდებზე გავალთ, სადაც შეფასდება ჩვენი ცოდნა და გამოჩნდება შრომის შედეგი. მე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ვირჩევ სტუდენტებისთვის აქ შექმნილი საუკეთესო პირობების გათვალისწინებით... იმედი მაქვს, ოცნებას ავიხდენ და გავხდები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი, რაც ყველაზე საპატიო სტატუსი იქნება ჩემთვის“ (ნათია, 17 წლის).

„ჯერ კიდევ არ მქონდა საბოლოოდ გადაწყვეტილი, რომელ უმაღლეს სასწავლებელს ავირჩევდი. ძალიან კმაყოფილი ვარ დღევანდელი დღით – რექტორმა, პროფესორ-მასწავლებლებმა, შექმნილმა გარემომ პოზიტიურად განმაწყო და დამარწმუნა, რომ სწორედ აქ მინდა სწავლის გაგრძელება...“ (ლუკა, 17 წლის).

„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლა იმიტომ გადავწყვიტე, რომ აქ მაღალხარისხიანი ცოდნის შეძენისთვის ფართო ასპარეზია – სახელოვანი პროფესორ-მასწავლებლები, გაცვლითი პროგრამები, სტაჟირება უცხოეთის საუკეთესო კლინიკებში... ყველაფერი ეს პროფესიული დახელოვნებისთვის უმნიშვნელოვანესია...“ (გიორგი, 18 წლის)

„ძალიან მიყვარს ბავშვები, ამიტომ დიდი სურვილი მაქვს ექიმი პედიატრი გავხდე და მთელი ჩემი ცოდნა, უნარი თუ შესაძლებლობა მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვას მოვახმარო. ამ სურვილის ასრულებისთვის, ვიცი, ბევრი სწავლა და შრომა დამჭირდება. ხარისხიან სამედიცინო განათლებას კი, ვფიქრობ, სწორედ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მივიღებ“ (ლიკა, 18 წლის).

ნატო გოლძვაძე

წერილები Alma Mater-ს

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩემი „აკადემიური მოგზაურობის“ დაწყება საინტერესო და ნაყოფიერი, ამასთან – რთულიც იყო. დატვირთულმა სასწავლო რეჟიმმა მაიძულა ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამომეყენებინა, თუმცა მეგობრებისა და გამორჩეული ლექტორების მხარდაჭერამ ეს სირთულეები გადამალახინა, განსაკუთრებით – პანდემიის პერიოდში, როცა ყველანი დიდი გამოწვევის წინაშე აღმოვჩნდით. სერიოზული მოტივაცია იყო ჩემთვის უნივერსიტეტის სტიპენდია, ასევე, დამატებითი სტიპენდია ჩემი მშობლიური ქალაქიდან, რუსთავიდან.

ოთხი წლის განმავლობაში ვეუფლებოდი ცოდნას, ვიღებდი უახლეს ინფორმაციას ეპიდემიოლოგიაში, ჰიგიენასა და სტატისტიკაში, ნუტრიციოლოგიაში და სხვა ფუნდამენტურ სამედიცინო დისციპლინებში. ასევე, შევიძინე პრაქტიკული უნარ-ჩვევები... ცალკე აღნიშვნის ღირსია ლექტორების განსაკუთრებული დამსახურება, თუმცა არ მინდა რომელიმე მათგანი გამოვყო, რადგან, ხარისხიანი განათლების მიღების თვალსაზრისით, ყველას წვლილი მნიშვნელოვანია.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მონაწილეობა მივიღე რამდენიმე კონფერენციაში, სადაც წარვადგინე პროექტები სხვადასხვა თემაზე, მიღებულმა გამოცდილებამ გააუმჯობესა ჩემი ანალიზისა და პრეზენტაციის უნარი, საფუძველი ჩაუყარა ჩემს მომზადებას მომავალი კვლევებისა და პროექტებისთვის.

მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი ყველაზე ღირებული, რაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შევიძინე, არის პრობლემების სხვადასხვა პრიზმიდან დანახვის უნარი და მათი შეფასება, რაც საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტისთვის აუცილებელია. დროის ეფექტური გამოყენება რუსთავი-თბილისის გზაზეც ვისწავლე, სადაც დროს ხშირად ვუთმობდი მეცადინეობას, პროფესიული კუთხით განვითარებას.

ყველაზე დიდი გამოწვევა საკუთარი თავის მიმართ რწმენის გამომუშავება და გაძლიერება იყო, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კონკურენციის პირობებში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მომავალ სტუდენტებს ვურჩევდი, პრიორიტეტი მიანიჭონ მენტალურ ჯანმრთელობას, რაც ადამიანის ემოციურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ კეთილდღეობას გულისხმობს და უმნიშვნელოვანესია, რადგან სხვების ჯანმრთელობის დაცვა საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვით იწყება. ასევე, აუცილებლად გამოიყენეთ ყველა რესურსი, რასაც უნივერსიტეტი, ლექტორები და მაღალსემესტრელი სტუდენტები შემოგთავაზებენ – „Work smart, not hard“.

მომავალში ვაპირებ მაგისტრატურა საზღვარგარეთ, რომელიმე უნივერსიტეტში გავიარო და შემდეგ დავუბრუნდე საქართველოს, რათა ჩემი ცოდნა სამშობლოს და ჩემს Alma Mater-ს მოვახმარო. ჩემი სპეციალობით საქმიანობის საჭიროება და დარგის როლი და მნიშვნელობა კი პანდემიამაც დაგვანახა. ჯანდაცვის სფეროში ძლიერი ლიდერობის გარეშე, ყველაზე გამოცდილი ექიმებიც ვერ ახერხებენ თავიანთი პოტენციალის სრულად რეალიზებას; ყველაზე „მომხიბვლელი“ კი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში, ჩემი აზრით, პრევენციაა: „ავადმყოფობის ადრეული გამოვლენა ნიშნავს ნაკლებ არასაჭირო ოპერაციას და ნაკლებ სიკვდილს“ (ექიმი ბეილი „გრეის ანატომიიდან“).

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, გარდა ცოდნისა, საფუძვლიანად „აღმჭურვა“ იმ უნარებით, რაც აუცილებელია ჯანდაცვის სპეციალისტის წარმატებისათვის.

ლალი გეგაძე,
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის
(საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა)
კურსდამთავრებული

როცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ვაბარებდი, 6-წლიანი სწავლება უზარმაზარ პერიოდად მეჩვენებოდა. ახლა კი, სწავლის მიწურულს, აღარც მჯერა, რომ დრომ ამდენად სწრაფად გაირბინა.

ასე მგონია, 2018 წელს პირველად რომ შევაბიჯე უნივერსიტეტის ეზოში, სულ სხვა ადამიანი ვიყავი. ზოგადად, მედიცინის ფაკულტეტზე სწავლა ადვილი რომ იყოს, ეს პროფესია მსოფლიოში ერთ-ერთი ურთულესი არ იქნებოდა. ვცდილობდი, კარგად მესწავლა, მაღალი ქულები ამეღო, რაც საკმაოდ დიდ დროს მართმევდა – პირველ სემესტრებში, მაგალითად, მთელ დღეს მეცადინეობაში ვატარებდი, გართობაზე საუბარიც ზედმეტი იყო. ჩემი საფიქრალი სწავლა, მასალის გამეორება და მერე ისევ სწავლა იყო. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს ბევრი უძილო ღამე, დიდი ნერვიულობა ახლდა თან, სამაგიეროდ, ვისწავლე დროის დაგეგმვა, ორგანიზება, ჩამომიყალიბდა პასუხისმგებლობის გრძნობა, შევიძინე კრიტიკულად მნიშვნელოვანი მასალის აქცენტირების უნარი.

ერთი შეხედვით, არც ისე სასიამოვნო უნდა იყოს ამდენად დატვირთული პერიოდის გახსენება, თუმცა, ცხოვრებაში ყველაზე მეტად, ალბათ, ეს დრო მომენატრება.

ბევრი სირთულის, გამოწვევის, დაძაბულობის მიუხედავად, ეს იყო მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდი ჩემს ცხოვრებაში. საუკეთესოდ კი ამ ყველაფერს ის ადამიანები ხდიდნენ, რომლებთანაც ურთიერთობის ბედნიერება მხვდა წილად. გამოწვევების დაძლევა გაცილებით რთული იქნებოდა, გვერდით მეგობრები რომ არ მყოლოდა.

სწორედ უნივერსიტეტის დამსახურებაა ის, რომ ჩემი მეგობრების წრე გაფართოვდა, საუკეთესო ადამიანები გავიცანი; ჭირშიც და ლხინშიც ერთად ვიყავით – ერთად ვმეცადინეობდით, ვნერვიულობდით გამოცდებზე, ერთად აღვნიშნავდით გამოცდების წარმატებით ჩაბარებას და, ზოგადადაც, სულ გვერდით ვედექით ერთმანეთს. გამოცდიდან ყოველთვის ყველაზე გვიან, ბოლო წუთს გამოვდიოდი. ყოველ დაძაბულობას იუმორით ვხვდებოდით და ვუმკლავდებოდით, ამიტომ ამ გამოწვევების წინაშე მარტო არასდროს ვყოფილვართ. როცა ვინმეს რამე სჭირდებოდა, ვეხმარებოდით ერთმანეთს. იმედი მაქვს, რომ ამ დიდ მეგობრობას მომავალშიც შევინარჩუნებთ.

ამ წლების განმავლობაში ძალიან ბევრი პედაგოგი გვყავდა, ვინც, ალბათ, სულ მემახსოვრება და რომელთაც გავლენა მოახდინეს ჩემს პიროვნულ განვითარებასა და მსოფლმხედველობაზე. პირადი მაგალითებით, მონაყოლით, რჩევებით ბევრის შეცვლაა შესაძლებელი, განსაკუთრებით, როცა სტუდენტთან გიხდება ურთიერთობა. ლექტორები ყოველნაირად ცდილობდნენ, საგანი გააზრებულად ესწავლებინათ და დაგვხმარებოდნენ.

რაც შეეხება სამომავლო კარიერას, მე-4 კურსზე, შემთხვევით, ხელში ჩამივარდა ნევროლოგიის ერთ-ერთი სახელმძღვანელო, რის შემდეგაც სრულიად მოულოდნელად გავიაზრე, რომ ვერცერთ სხვა დისციპლინაში ვერ წარმოვიდგენდი ისეთ განვითარებას, როგორც ნეიროფიზიოლოგიაში. თავის ტვინში მიმდინარე პროცესების – ემოციების, ძილის, აზროვნების კვლევა ყველაზე საინტერესო და პერსპექტიულ მიმართულებად მიმაჩნია თანამედროვე მეცნიერებაში.

მედიცინის ფაკულტეტზე სწავლა, ყველა სირთულის მიუხედავად, იმაზე გაცილებით უკეთესი გამოცდილება გამოდგა, ვიდრე გვეგონა. ეს ყველაფერი კი უნივერსიტეტში შეძენილი მეგობრებისა და იმ გარემოს დამსახურებაა, რომელსაც ერთად ვქმნიდით და წლების განმავლობაში მხარდაჭერას ვგრძნობდი.

ელენე შუბითიძე,
მედიცინის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული







დიდი დანაკლისი

ქართულმა სამედიცინო საზოგადოებამ მეტად მტკივნეული, სამწუხარო და სრულიად შეუვსებელი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა ბატონი ავთანდილ ჯორბენაძე, აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენის კავალერი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისათვის ავთანდილ ჯორბენაძე, უპირველესად, გახლდათ გამორჩეული მეგობარი, მხარდამჭერი და ქომაგი, მათ შორის – ყველაზე რთულ და არაერთმნიშვნელოვან პერიოდებში. ამიტომაც ჩვენთვის ძალიან ძნელია ბატონ ავთანდილზე წარსულ დროში საუბარი, თუნდაც, – მის პროფესიულ თუ პიროვნულ ღირსებათა კონტექსტში.

1974 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი) სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდგომ, ბატონი ავთო ერთი დღეც არ ყოფილა მედიცინის მსახურების გარეშე.

1974-75 წლებში ბატონი ავთანდილ ჯორბენაძე იყო თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ექიმი-ინტერნი, 1975-76 წწ. – თბილისის 29-ე პოლიკლინიკის ექიმი-თერაპევტი, 1976-1978 წწ. – შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილის ექიმი, 1978-82 წწ. – თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ექიმი-რენტგენოლოგი, 1982-86 წწ. – თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე, 1986-91 წწ. – თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე, 1991-92 წწ. – თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს უფროსი.

1992 წლიდან დაიწყო ბატონი ავთანდილის პროფესიული და, ამავდროულად, სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის რთული, გამოწვევებით, წინააღმდეგობებით და მათი დაძლევით დატვირთული პერიოდი. და სწორედ ამ დროს გამოვლინდა მკაფიოდ მისი სახელმწიფოებრივი აზროვნების დიაპაზონი, მაღალორგანიზაციული უნარი და, რაც უმნიშვნელოვანესი და დასაფასებელია, – ავკარგიანობა. ბატონ ავთანდილს საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ხელმძღვანელობა და მის მასშტაბურ რეორგანიზებაზე მუშაობა ქვეყნისთვის ყველაზე მძიმე ეტაპზე მოუხდა. სწორედ ამ პერიოდში გრძნობდა მისი Alma Mater ობიექტურ მხარდაჭერას, რისი შედეგებიც დღესაც თვალსაჩინოა.

1992-93 წლებში ბატონი ავთო საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე გახლდათ, 1993 წელს – სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე, 1993-99 წწ. – საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, 1999 -2001 წწ. – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, 2001-2003 წწ. – საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.

ფასდაუდებელია ბატონი ავთანდილის მიერ ორგანიზებული სამხედრო სამედიცინო სამსახურის როლი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის არაერთი ვაჟკაცი მებრძოლის სიცოცხლის გადარჩენის ეროვნულ საქმეში.

2011 წელს ბატონი ავთანდილი სათავეში ჩაუდგა პრაქტიკული ჯანდაცვის ორგანიზების მიმართულებას აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის სტატუსით და ბოლო დღემდე ამ პოზიციიდან ემსახურა საქართველოს საზოგადოების ჯანმრთელობას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არც ისე დიდი ხნის წინ გამოიცა ავთანდილ ჯორბენაძის წიგნი – „როგორ იქმნებოდა ჯანმრთელობის დაცვის ახალი სისტემა“, სადაც იგი მკითხველს უამბობს, რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული ჯანდაცვის სისტემის ფუნდამენტური გარდაქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე, სამოქალაქო და ტერიტორიული მთლიანობისთვის ომების ქარტეხილიან პერიოდში; რა კეთდება და რა უნდა გაკეთდეს მომავალში ქართული ჯანდაცვის სისტემის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებისთვის. დარწმუნებულნი ვართ, ეს ნაშრომი სამაგიდო წიგნად იქცევა ჯანდაცვის სისტემის მართვის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისთვის.

ბატონი ავთანდილ ჯორბენაძის მოქალაქეობრივი, ადამიანური და საქმიანი თვისებები მისაბაძი არის და იქნება მომავალი თაობებისთვის; დარწმუნებულნი ვართ, მის გზას, კეთილ საქმეს და სახელს მისი მეუღლე – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, ნინო ვეფხვაძე და მათი საამაყო შთამომავლობა გააგრძელებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ქალბატონი ნინო!



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის პარადონტოლოგიისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებათა დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნინო აბაშიძე – მაღალკვალიფიციური პროფესიონალი, გამორჩეული პედაგოგი და მენტორი, სამაგალითო მოქალაქეობრივი და პიროვნული თვისებების ადამიანი, საუკეთესო მეგობარი და საიმედო კოლეგა. ქალბატონი ნინოს გარდაცვალება სრულიად შეუვსებელი დანაკლისია მისი მოყვარული ოჯახის, კოლეგებისა და პაციენტებისათვის. ნინო აბაშიძის სახელი და სახე სამუდამოდ დარჩება მის მადლიერ და პატივისმცემელ ადამიანთა გულსა და მეხსიერებაში.

ჯვარი კი რჩება – ლიერსული, სასიქადული, მარადიული ჯვარი რჩება კარგი კაცისა...



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესურა, ადმინისტრაცია, სტუდენტები, მკვლევარები და რეზიდენტები ღრმა მწუხარებით და უკიდურესი გულისწყვეტით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე (დავით) თელია – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ალერგოლოგიის და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, ალერგოლოგია-იმუნოლოგიის სახელმწიფო სარეზიდენტო პროგრამის დირექტორი, ამერიკის ოჯახის ექიმთა აკადემიის ასოცირებული წევრი, საქართველოს ასთმოლოგთა, ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს სამედიცინო-ბიოლოგიური აკადემიის წევრი, საქართველოს სამედიცინო-სოციალური აკადემიის წევრი, არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო თუ პროფესიული ფორუმის ორგანიზატორი და მონაწილე.

ალექსანდრე თელიას (დათო თელია – ასე იცნობდა მას სამედიცინო საზოგადოება, პაციენტები და სტუდენტები, ის დათო იყო ოჯახისა და ახლობლებისათვის) პროფესიული და აკადემიური ბიოგრაფია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის – მისი Alma Mater-ის – ისტორიის განუყოფელი ნაწილია.

იგი 1954 წელს დაიბადა, საქართველოს სპორტის მედიცინის პატრიარქის, ზაქარია თელიას, ოჯახში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის) პედიატრიის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, 1978 წლიდან, დათო თელიამ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ასპირანტურაში ალერგოლოგიის მიმართულებით. ეს მისი სრულად გაცნობიერებული არჩევანი იყო, რასაც ადასტურებს მთელი მისი ნაყოფიერი საექიმო და აკადემიური კარიერა.

1983 წელს ალექსანდრე (დავით) თელიამ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1993 წელს – სადოქტორო დისერტაცია. იგი გახლდათ ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის კათედრის ასისტენტი (1984-1994), დოცენტი (1994-1996), პროფესორი (1996-2001), 2001 წლიდან დღემდე კი – კათედრის (დეპარტამენტის) ხელმძღვანელი.

2005-2006 წლებში, საქართველოში უმაღლესი განათლების, მათ შორის – სამედიცინო განათლების, სისტემაში ძირეული გარდაქმნების პერიოდში, ალექსანდრე (დავით) თელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის პოზიციას იკავებდა. სწორედ ამ პერიოდში, 2005 წელს, ბოლონიაში იგი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, ბრძანდებოდა უნივერსიტეტთა დიდი ქარტიის (Magna Charta Universitatum) ხელმომწერთა შორის, რაც პირველი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ევროინტეგრაციის გზაზე.

ალექსანდრე (დავით) თელია ორგანულად უთავსებდა ერთმანეთს პედაგოგიურ, კვლევით და საექიმო საქმიანობას და იძლეოდა სანიმუშო ადამიანური და პროფესიული ურთიერთობის მაგალითს. იგი ავტორია პირველი ქართულენოვანი მონოგრაფიისა კლინიკური კვლევების წარმოების და შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ. სამედიცინო განათლებისა და მტკიცებითი მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტის რანგში, იგი ათზე მეტი აკრედიტებული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ორგანიზატორი და მონაწილე იყო; მის პერსონალურ საგანმანათლებლო ვებგვერდს კი უამრავი მკითხველი და გამზიარებელი ჰყავდა. 120-მდე სამეცნიერო პუბლიკაცია, რამდენიმე მეთოდური რეკომენდაცია, მონოგრაფია, გამოგონება, ათამდე აკრედიტებული ტრენინგ-პროგრამა – ეს ალექსანდრე (დავით) თელიას სამეცნიერო მემკვიდრეობის არასრული ჩამონათვალია.

დათო თელიაზე საუბარი – თუნდაც ასეთ, ტკივილიან წერილში – არასრული იქნებოდა, რომ არ აღინიშნოს მისი სერიოზული გატაცება მუსიკით, ჯაზით, გიტარით. მუსიკის მუზა მას თან სდევდა მთელი სიცოცხლის მანძილზე – ყმაწვილობიდან ბოლო დღემდე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბენდის გამორჩეული პოპულარობა მნიშვნელოვანწილად სწორედ დათო თელიას ფაქტორით იყო განპირობებული. ბევრ უნივერსიტეტს არ ჰქონდა და არა აქვს ფუფუნება, რომ მისი სტუდენტი, პროფესორი თუ რექტორი, ისე გრძნობდეს ჯაზს, ისე ოსტატურად, ემოციურად, შინაგანი თავისუფლების მაღალი ხარისხით ასრულებდეს ჯაზურ კომპოზიციებს, როგორც ეს დათო თელიას შეეძლო.

პროფესორ ალექსანდრე (დათო) თელიას შინაგანი დახვეწილობა, კეთილშობილება, კოლეგიალობა, აკადემიზმი, ნოვატორობა და სანიმუშო პროფესიული თვისებები მუდამ მისაბაძი იქნება მომავალი თაობებისათვის. დათო თელია სამუდამოდ დარჩა ნათელ მოგონებად მშობლიური უნივერსიტეტის თითოეული წევრის მეხსიერებაში. მისი გარდაცვალება შეუვსებელი დანაკლისია მთლიანად საქართველოს სამედიცინო საზოგადოებისათვის, მაგრამ ნათელ სხივად რჩებიან დათოს ვაჟები – სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელოვანი ექიმები და მკვლევარები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი გულისტკივილით გემშვიდობება, ჩვენო დათო!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ხსოვნა ნათელი კაცისა

ქართულ ენაში არსებობს სიტყვები, რომელთა ზუსტი ანალოგი სხვაგან არ მოიძებნება. ალბათ ერთ-ერთი ასეთი სიტყვაა – „მეგულება“, რომლითაც ისეთ ახლობელს ვიხსენებთ, ფიზიკურად რომ შორს არის, მაგრამ მაინც სულსა და გულში გვყავს. დიდი ბედნიერებაა, გყავდეს ასეთი ადამიანები, იმედად გეგულებოდეს...

მინდა, დავით ხაზარაძე გავიხსენო, – კაცი, რომელიც, ამქვეყნიურ ცხოვრებაში დიდ იმედად მეგულებოდა, დღეს კი სამუდამო სამყოფელშია. სანამ შევხვდებოდი, მასზე, როგორც ნიჭიერებით გამორჩეულ ძირძველ თბილისელზე, ბევრი კარგი მსმენოდა. რკინიგზის საავადმყოფოში 1980 წელს გავიცანი, სადაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კერძო ქირურგიის კათედრაზე ასისტენტად მუშაობდა. მაშინ იქ მამაჩემს ოპერაცია გაუკეთეს, რომელიც, სამწუხაროდ, ტრაგიკულად დასრულდა; დავითი სულ გვერდით მედგა და ყოველნაირად ცდილობდა დახმარებას, ჩემი მწუხარების გაზიარებას; შემდგომ კი ჩვენი მეგობრობა ზოგადი ქირურგიის კათედრაზე განახლდა – როცა პროფესორ გივი გონჯილაშვილთან ასისტენტად მივედი, დავითი იქ დამხვდა, უკვე დოცენტი იყო. მაღალი, დახვეწილი ინტელიგენტი, ელეგანტური მანერებით და მდიდარი იუმორით, საზოგადოების ყურადღებას და სიმპათიას იმსახურებდა. ყველას უყვარდა, განსაკუთრებით – სტუდენტებს, რომლებმაც მაშინ წლის საუკეთესო პედაგოგად დაასახელეს. ხშირად ვესწრებოდით ერთმანეთის ლექციებს და პრაქტიკულ მეცადინეობებს, რომლებსაც ის აკადემიურად წარმართავდა ლირიკული გადახვევებითა და იუმორით. იყო მომთხოვნი, მაგრამ არა – მკაცრი; მაშინაც კი, როცა დეკანის მოადგილის მოვალეობას ასრულებდა, სტუდენტი არასოდეს დაუსჯია, მხოლოდ კეთილი რჩევებით მოძღვრავდა. ზოგჯერ უნდოდა კიდეც მკაცრი ყოფილიყო, მაგრამ არ გამოსდიოდა. დავითთან არასოდეს მოიწყენდი, მისი ინტელექტი იტევდა პოეზიის, ძველი მსოფლიოს და რომის ისტორიის, თანამედროვე ლიტერატურის, მხატვრობის ცოდნას; განსაკუთრებით მოსწონდა იმპრესიონისტების ნახატები. მან მაჩუქა რენუარის ერთ-ერთი ნახატის რეპროდუქცია; უყვარდა ქართული პოეზია, აღმერთებდა გალაკტიონს, ზედმიწევნით კარგად ფლობდა რუსულ ენას, ციტირებდა პუშკინს, მაიაკოვსკის, ესენინს, გოგოლს, ბლოკს...

დავითი თვითნასწავლი ჯაზმენი იყო, ტიპური ქართველი სამოციანელი, იმპროვიზაციების ოსტატი; არაჩვეულებრივად უკრავდა ფორტეპიანოზე, ხშირად იწვევდნენ სამედიცინო უნივერსიტეტის კონცერტებზეც, ქმნიდა იმპროვიზაციებს პროექტში – „ექიმები არ ხუმრობენ“. იყო კარგი თამადა, ხშირად ასრულებდა ამ „მოვალეობას“ ჩემს ოჯახშიც.

ბუნებით კაცთმოყვარე, ახალგაცნობილ ადამიანში კარგ თვისებებს რომ შენიშნავდა, მყისვე მოუწონებდა, ეტყოდა: – ადამიანის გაცნობისას მისი სახელი დაიმახსოვრე და სახელითვე ხშირად მიმართე, ესიამოვნება და ეცდება, კიდევ უფრო უკეთესი გახდესო.

ქირურგიას აკადემიკოს ეგნატე ფიფიასთან დაეუფლა, რომელიც დავითის დის, აკადემიკოს ნანა ხაზარაძის, მამამთილი იყო. ბატონმა ეგნატემ მას, როგორც ნიჭიერ და არაერთი ტალანტის მქონე ახალგაზრდას, თავის დროზე, ცოდნა და გამოცდილება გაუზიარა.

როცა დავითი დოცენტად აირჩიეს, ზოგადი ქირურგიის კათედრა ქალაქის №2 საავადმყოფოში იყო. პროფესორი გივი გონჯილაშვილი, იმ დროს კათედრის გამგე, დიდად აფასებდა მის უნარს და შესაძლებლობებს. არაერთი ოპერაცია ერთად გააკეთეს; კონფერენციებზე და კონსილიუმებზე დავითის, როგორც კლინიკის წამყვანი ქირურგის, მიერ გამოთქმულ აზრს ითვალისწინებდნენ და სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

დავითის გარდაცვალებამ ყველას დაწყვიტა გული. ღმერთო, მისი სული სულ ნათელში მეგულებოდეს!

ილია ჭანუყვაძე,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ემერიტუსი

კონფერენცია – „21-ე საუკუნის გამოწვევები სამედიცინო სფეროში“

10-16 ივნისს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე – „21-ე საუკუნის გამოწვევები სამედიცინო სფეროში“.

შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მასშტაბური და საინტერესო თემატიკით დატვირთული სტუდენტური კონფერენცია საქართველოში პირველად ჩატარდა. ღონისძიებაში მონაწილეობა 170-მდე სტუდენტმა მიიღო თსსუ-ის ყველა ფაკულტეტიდან, საქართველოს სხვადასხვა სამედიცინო უმაღლესი სასწავლებლიდან და ევროპის წამყვანი სამედიცინო უნივერსიტეტებიდან; კერძოდ: ლუგანსკის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან (უკრაინა), ბოგომოლეცის ეროვნული სამედიცინო უნივერსიტეტიდან (უკრაინა), ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან (სომხეთი), სოფიას სამედიცინო უნივერსიტეტიდან (ბულგარეთი); ასევე, თურქეთიდან – ჯანდაცვის მეცნიერებების, ტოკატ გაზიოსმანფაშას და ტრაქიის უნივერსიტეტებიდან.

თსსუ-ის სტუდენტებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ორიგინალური კვლევები, რომელიც უნივერსიტეტის პროფესორების ხელმძღვანელობით ჩაატარეს.

კონფერენციის ბოლოს მხარეებს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რაც თსსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობას შესაძლებლობას მისცემს, რომ მომავალში მსგავსი პროექტები მეგობარი უნივერსიტეტების სტუდენტების ჩართულობით განახორციელოს.

კონფერენციას ონლაინრეჟიმში ესწრებოდნენ უკრაინის ზემოაღნიშნული უნივერსიტეტების სტუდენტები, რომლებმაც, სხვა მონაწილეების მსგავსად, ორთვიანი კვლევა ჩაატარეს და ამ კვლევების აქტუალობაზე დისტანციურ რეჟიმში გვესაუბრნენ.

აღსანიშნავია, რომ კონფერენციის მხარდამჭერი გახლდათ *CASRP (Center of Advanced Scientific Research and Publication)*, რომელმაც ყველა მონაწილესა და დამსწრეს საერთაშორისოდ აღიარებული, ჰოლოგრამით დამტკიცებული, სერტიფიკატები გადასცა, რაც კონფერენციის მაღალ დონეზე მეტყველებდა.

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა დიდ მადლობას უხდის თსსუ-ის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების სამსახურს, ასევე, თსსუ-ის ყველა იმ პროფესორს, რომელიც ჩვენი მონაწილეების თემების დამუშავებაში იყო ჩართული. დიდი მადლობა, ასევე, კონფერენციის ყველა მონაწილესა და დამსწრეს, რომლებმაც დრო გამონახეს აღნიშნულ პროექტში ჩართვისთვის.

ციცი პაპუნაშვილი,
მედიცინის ფაკულტეტის
მე–8 სემესტრის სტუდენტი,
სტუდენტური
თვითმმართველობის
ვიცე–პრეზიდენტი

საფეხბურთო ტურნირი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სპორტულ აქტივობებსა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას დიდი ყურადღება ექცევა. შესაბამისად, ტარდება შეჯიბრები და ასპარეზობები, თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტმა გაზაფხულის სემესტრში არაერთი სპორტული პროექტი განახორციელა.

ყველაზე დიდ გამოხმაურებას, უკვე წლებია, შიდასაუნივერსიტეტო პირველობის ფეხბურთის ტურნირი იმსახურებს. ამჯერად ჩემპიონატში მონაწილეობა 30-მა გუნდმა მიიღო, მათ ჯგუფური ეტაპების დაძლევა და შემდეგ ფინალის თამაში მოუხდათ. აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 84-ზე მეტი ქვეყნის საერთაშორისო სტუდენტი, ქართველ სტუდენტებთან ერთად, მსგავს აქტივობებში დიდი მონდომებით ერთვება.

თსსუ-ის 2024 წლის გაზაფხულის საფეხბურთო

ჩემპიონატის გამარჯვებული საერთაშორისო სტუდენტებით დაკომპლექტებული გუნდი - Farmers გახდა, რომელიც 7 მაისს ფინალში, ასევე, საერთაშორისო სტუდენტების გუნდს – Kassandra დაუპირისპირდა. შეხვედრის პირველ ტაიმში Farmers დაწინაურდა, თუმცა, შეხვედრის მთავარმა მსაჯმა, ბატონმა ვახტანგ ბაქანიძემ და ასისტენტმა მსაჯმა, გოლი არ ჩათვალეს, ვინაიდან, ბურთმა კუთხურის ხაზი გადაკვეთა. გაუქმებულ ბურთს Kassandra-ს მხრიდან ლამაზი შეტევა და გოლი მოჰყვა, რამაც მატჩს მეტი დაძაბულობა და ხიბლი შემატა. Kassandra-მ ანგარიშის გათანაბრება ბოლო წუთებზე შეძლო – უკანასკნელ 5 წუთში შეცვლაზე შემოსულმა აბდალა ალკიკიმ შეხვედრის ბედი გადაწყვიტა. პენალტების სერიით, Farmers-ის ფეხბურთელებმა იმარჯვეს.

ჩემპიონატის გამარჯვებულებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისაგან თასები და მედლები გადაეცათ. გამოვლინდა მატჩის საუკეთესო მეკარეც – სამერი, რომელმაც, ტრავმის მიუხედავად, მთელი ჩემპიონატის განმავლობაში საკუთარი გუნდის კარი დიდი ოსტატობით დაიცვა.

გუნდების შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: Farmers: Abdalla Alkiky (el capitano),Ahmed Tamer Rashwan,- Samer Rawashdeh, Hadi Faracha, Ahmed Batayha, Ammar Yassir, Yaseen Rashad, Noureldin Gehad;

Kassandra: Saif AL Din, Ahmed Mahmoud, Hesham Magdy, Mohamad EL Zayat, Saif Shabrawy, Qamar Asbah, Ahmed Nasser, Ahmed Yomi, Abdulrahman Ahmed;

მესამე ადგილი გუნდმა „არარატმა” დაიკავა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: Artiom Tonoyan, Markos Mgdesyan, Roman kirakosyan, Felix Harutyunyan, Levon Norsoyan, Miko Antonyan, Rubo Hakobyan, Grisha Markosyan, Narek Nahapetyan da Erik Petrosyan.

მატჩს მაღალპროფესიონალურად მსაჯობდნენ ტურნირის მთავარი მსაჯი, სპორტის დამსახურებულ მოღვაწე, **ვახტანგ ბაქანიძე** და მე-5 კატეგორიის ასისტენტ-მსაჯი, თსსუ-ის სტუდენტი **ლაშა ბაქაქური;** თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა გაწეული შრომისა და პროფესიონალიზმისთვის მათ დიდ მადლობას უხდის.

აღსანიშნავია, თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, თათა ღვინაძის, ცოდნა და პროფესიონალიზმი. თათა სხვადასხვა სპორტულ აქტივობას უძღვება და სტუდენტების ჯანსაღ ცხოვრებას უწყობს ხელს. იგი მიმდინარე სემესტრის ბოლოს თსსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებული გახდება. ვულოცავთ და წარმატებებს ვუსურვებთ პროფესიულ ცხოვრებაში.

ტურნირი ვერ შედგებოდა თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის, ლადო გაბეჩავას, აქტიურობის, ასევე, ვიცე-პრეზიდენტების: დაჩი ლაკვეხელიანის, ციცი პაპუნაშვილისა და მარიამ მერაბიშვილის, მხარდაჭერისა და ჩართულობის გარეშე. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული წვლილი სტუდენტური სპორტის ხელშეწყობასა და გააქტიურებაში მიუძღვის თსსუ-ის სპორტის ცენტრის ხელმძღვანელს, ბატონ გიგი შუბითიძეს, რომლის, უდავოდ, დიდი დამსახურებაა, რომ სამედიცინი უნივერსიტეტის სტუდენტები საუცხოო სპორტული შედეგებით გამოირჩევიან როგორც შიდასაუნივერსიტეტო, ასევე – ქვეყნის მასშტაბით მოწყობილ ტურნირებში.

ციცი პაპუნაშვილი,
მედიცინის ფაკულტეტის
მე–8 სემესტრის სტუდენტი,
სტუდენტური თვითმმართველობის
ვიცე–პრეზიდენტი

ჩვენი ენა ქართული

უკვე მრავალი წელია ქართული ენის სრულფასოვნად დაუფლება და მის სიდიადესთან ზიარება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქართული ენის ცენტრის პედაგოგიური კოლექტივის ყოველდღიური ზრუნვის საგანს წარმოადგენს.

ამ მიმართულებით დაუღალავი შრომის შემდეგ, მიმდინარე სასწავლო წლის მანძილზე დაგროვილი ცოდნის ერთგვარ შეჯამებად შეიძლება ჩაითვალოს ქართული ენის ცენტრში ტრადიციად ქცეული ლამაზი ღონისძიება ქართული ენის მოსამზადებელი განყოფილების 4+1 პროგრამით ჩარიცხული სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდების მონაწილეობით, რომელთათვისაც საქართველო მეორე სამშობლოა და, ბუნებრივია, ისინიც, ქართული ენის დაუფლებას ერთ-ერთ უპირველეს მიზნად და ვალდებულებად თვლიან.

ნენე აბაჯიანი, არტიუშ ახვერდიანი, როინ მარაბიანი, ნარეკ ნახაპეტიანი, ალინა პალოიანი, ლევონ ნორსოიანი, არიანა პეტროსიანი, ფარნავაზ სიმონიანი, ტნტეს ღარიბიანი, მონა ჩიდილიანი, ანნა ჰამბარიანი, სონია ნაზარეტიანი, ანა გევორკიანი, ფუნარ ბაბაევა, ფიდან ნაბიევა – მომავალი ექიმები არიან, მათ, პროფესიის გარდა, ქართული ენისა და საქართველოს სიყვარული აერთიანებთ და ამ მიწა-წყლის მიმართ მადლიერებას ქართული ენის სწავლის მცდელობით გამოხატავენ.

ღონისძების ორგანიზატორის, ქართული ენის ცენტრის ხელმძღვანელის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დარეჯან კუხიანიძის, განმარტებით, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ამ ახალგაზრდებს უყვართ ქართული ენა და საქართველო, ამიტომაც განსაკუთრებით დასაფასებელია მათი სურვილი და მონდომება.

აღსანიშნავია, რომ ამ გოგო-ბიჭებმა სამედიცინო უნივერსიტეტის კედლებში, ცენტრის ხელმძღვანელის, დარეჯან კუხიანიძის და პედაგოგების – ქეთევან ქოჩიაშვილის და თამარ კანთელაძის დიდი შრომის შედეგად, განამტკიცეს ქართული ენის ცოდნა, შეისწავლეს გალაკტიონის, ვაჟას, ილიას, აკაკის, ანას, მურმანის, მუხრანის სტრიქონები... ამ ახალგაზრდების მონდომების შედეგია მათ მიერ შესრულებული „აჭარული“ თუ „განდაგანა“, ქართული ხალხური და თანამედროვე მელოდიები...

შეხვედრის ბოლოს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანმა, მარინა ციმაკურიძემ, განაცხადა, რომ ხაზგასასმელია ამ ახალგაზრდების ინტერესი და მოწადინება – მიიღონ ცოდნა და გახდნენ პროფესიონალები: „ძალიან მინდა, რომ ყველანი კარგ სპეციალისტებად იქცნენ, რაშიც, უდავოდ, დიდი იქნება თსსუ-ის ქართული ენის ცენტრის წვლილიც. ეს ყველაფერი ხომ იმ დიდ საქმეს სჭირდება, რასაც დღეს ასე გულმოდგინედ ეჭიდებიან“...

დამსწრე საზოგადოება და ღონისძიების მონაწილენი კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ სამშობლოს და ხალხის სიყვარული დიდი მადლია, რასაც გაფრთხილება და რუდუნება სჭირდება.

დარეჯან კომლაძე

„სამედიცინო გაზეთი“ **რედაქცია** ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64
რედაქტორი **ლელა მუკბანიანი**
კორესპონდენტები: **დარეჯან კომლაძე** ტ.:558 17 08 47 **ნატო ბოლქვაძე** ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა newspaper@tsmu.edu